ოქმი:**ო135. 13524156001**
თარიღი:**04/06/2024**

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომის ოქმი №-5

დ. მესტია 31.05. 2024წ

<u>სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:</u> მ. ჯაფარიძე, ზ. ჩართოლანი, ა. რატიანი. ბ. ნაკანი, ბ. კვიციანი, გ. გიგლემიანი, დ. გვიჩიანი, დ. ჯაფარიძე, ვ. ჭკადუა, ზ. ხარძიანი, ზ. ჯაფარიძე, ზ. ფალიანი, თ. დადეშქელიანი, ი. რატიანი, ლ. პირველი, ლ. ჩარკვიანი, მ. პაკელიანი, მ. ხორგუანი, მ.რატიანი, შ. გულედანი, რ. გვარმიანი, კ. გუჯეჯიანი. მ. გოშუანი.

<u>სხდომას მიზეზით არ ესწრებოდნენ:</u> გ. გელოვანი, გ. დადვანი, ვ, ფილფანი. ი. გირგვლიანი, ლ. პაკელიანი, შ. რატიანი, შ. ცინდელიანი, ლ. ქალდანი, მ.გელოვანი,

<u>სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი თ. ნავერიანი; მესტიის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი პ მესტიის მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორი ნ. კვიციანი.

<u>სხდომას თავმჯდომარეობდა</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მ. ჯაფარიძე.

<u>სხდომის მდივანი:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოქმო განყოფილების მთ. სპეციალისტი მ. ნიგურიანი.

სხდომის დაწყებამდე საკრებულოს წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, სხდომას ესწრება საკრებულოს 33 წევრიდან 23 წევრი.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის I კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

/მომხსენებელი: თ. ნავერიანი; თანამომხსენებელი: რ. გვარმიანი/

2. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის ანგარიში მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ

/მომხსენებელი: თ. ნავერიანი; თანამომხსენებელი: რ. გვარმიანი/

3. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,სვანეთის განვითარებისთვის“ შემადგენლობაში ცვლილების ცნობად მიღების შესახებ.

/მომხსენებელი: შ. ცინდელიანი/

4. ფრაქციის ,,სვანეთის განვითარებისთვი“–ს თავმჯდომარედ დავით ჯაფარიძის არჩევის შესახებ განკარგულების ცნობად მიღების თაობაზე.

/მომხსენებელი: მ. ხორგუანი/

5. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლედ მალხაზ გოშუანის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

/მომხსენებელი: შ. ცინდელიანი/

6. მესტიის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი პ მესტიის მთავარი ბიბლიოთეკის ანგარიში 2023 წელს შესრულებული საქმიანობის შესახებ

/მომხსენებელი: ნ. კვიციანი; თანამომხსენებელი: მ. ხორგუანი/

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ეყაროს კენჭი ,,მესტიის **მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 მაისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“**. წარმოდგენილი რედაქციით.
მომხრე----------25
წინააღმდეგი------0
თავი შეიკავა-------0
კენჭისყრის შედეგად საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

საკრებულომ დაადგინა: მიიღონ განკარგულება `მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება № g-135. 135241171 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა თ. ნავერიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის I კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ“.
მომხსენებელმა ისაუბრა მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის I-კვარტლის შემოსულობებზე, გადასახდელებზე, მათ შორის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების ნაშთის ცვლილებებზე და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებზე. ფულადი რესურსი

მარტის თვეში ამოიწურა სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების ჩასატარებლად, ისაუბრა გეგმა-შესრულებაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: დ. გვიჩიანმა-პირველი კვარტლის დაბალი შესრულება გამოწვეულია, ბიუჯეტის არასწორად დაგეგმვით.

თ. ნავერიანი -- მიზეზი არის გაუთვალისწინებელი მაგრამ აუცილებლად შესასრულებელი სამუშაოები. არის რიგი ვალდებულებები რაზეც აუცილებელია სესხის აღება.

რ. გვარმიანი - კომისიამ განიხილა საკითხი, პირველი კვარტლისთვის დამახასიათებელი შეფასების დაბალი მაჩვენებელია.

ზ. ჩართოლანი -- საკრებულოს მხრიდან მეტი ჩართულობაა საჭირო ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------25
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპლიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში 2023 წელს შესრულებული საქმიანობის შესახებ“.
განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება №:გ-135. 135241522 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა თ. ნავერიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის ანგარიში მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ“.

თ. ნავერიანმა აღნიშნა, რომ მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდში განთავსებული გვქონდა 380,0 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტის (21 563,4 ათასი ლარი) 1,8 % შეადგენს. სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა და შესაბამის ორგანიზაციულ კოდზე ასახვა ხდება მესტიის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით. სარეზერვო ფონდის ათვისება ხდება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების - უზრუნველსაყოფად.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების უზრუნველსაყოფად 2023 წლის 8 სექტემბერს ხელშეკრულება გაფორმდა ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან - შპს“ლიდერი +“ 400,0 ათას ლარზე. კომპანიას შესრულებულ საქმიანობას უდასტურებს თითოეული სოფლის წარმომადგენელი ხელმოწერით და ინსპექტირების ჯგუფი. რომლის საფუძველზეც ფორმდება შესრულებული სამუშაოების მიღება ჩაბარების აქტი.

2024 წლის I –კვარტლის მდგომარეობით სარეზერვო ფონდიდან გადარიცხულია შპს“ლიდერი +“ -ის ანგარიშზე 97,0 ათასი ლარი. ხელშეკრულების გაფორმებიდან 2024 წლის I –კვარტლის მდგომარეობით კომპანიამ რამოდენიმე სპეც ტექნიკის (ბულდოზერი, გრეიდერი) გამოყენებით განახორციელა 4212 საათის სამუშაოები სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში, კერძოდ :

ხაიში- 568 საათი, ლახამულა -288 საათი, ბეჩო -444 საათი, ცხუმარი - 258 საათი, იფარი -124 საათი, წვირმი - 150 საათი, იდლიანი -194 საათი, ჭუბერი -417 საათი, ნაკრა- 480 საათი, ფარი -408 საათი , ეცერი - 328 საათი, ,კალა - 117

საათი, უშგული -92 საათი, მულახი -188 საათი, ლატალი - 128 საათი, ლენჯერი -28 საათი.

სარეზერვო ფონდის შევსება შეიძლება თანხების რესურსის გამონახვის შემთხვევაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: ლ. პირველმა, ვ. ჭკადუამ, შ. გულედანმა, გ. გიგლემიანმა -- მადლიერება გამოხატეს ჩატარებულ სამუშაოებზე და აღნიშნეს, რომ შეუფერხებლად მიმდინარეობდა გზებზე მოძრაობა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------25

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის ანგარიში მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება №გ-135. 135241173 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთა მ. ხორგუანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,სვანეთის განვითარებისთვის“ შემადგენლობაში ცვლილების ცნობად მიღების შესახებ“.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------25

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,სვანეთის განვითარებისთვის“ შემადგენლობაში ცვლილების ცნობად მიღების შესახებ.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება №გ-135. 135241175**თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხზე მოხსენება გააკეთა მ. ხორგუანმა ,,ფრაქციის ,,სვანეთის განვითარებისთვი“–ს თავმჯდომარედ დავით ჯაფარიძის არჩევის შესახებ განკარგულების ცნობად მიღების თაობაზე“.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------25

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,სვანეთის განვითარებისთვის“ შემადგენლობაში ცვლილების ცნობად მიღების შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება №:გ-135. 135241525**თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხზე

მოხსენება გააკეთა მ. ხორგუანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლედ მალხაზ გოშუანის უფლებამოსილების ცნობის შესახებ“.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა და წარმატება უსურვა საქმიანობაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------25

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლედ მალხაზ გოშუანის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება №-გ-135. 135241526 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მექვსე საკითხზე მოხსენება გააკეთა თ. გოშთელიანმა მესტიის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი პ მესტიის მთავარი ბიბლიოთეკის ანგარიში 2023 წელს შესრულებული საქმიანობის შესახებ

მომხსენებელმა აღნისნა, რომ დღევანდელი მდგომარეობით მესტიის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 15 ბიბლიოთეკა, მადლიერება გამოთქვა ბეჩოს რწმუნებულის სიმონა არღვლიანის მიმართ, რომლის ხელშეწყობით გარემონტდა ბეჩოს ბიბლიოთეკა და დღეისდღეობით ერთ ერთი საჩვენებელი ბიბლიოთეკაა. ისაუბრა ჩატარებულ ღონისძიებებზე. ა(ა)იპ „მესტიის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკის“ ორგანიზებით კულტურულ-შემეცნებითი საღამო, სახელწოდებით „მთის პოეზია“ ჩატარდა. ღონისძიება 12 დეკემბერს, მესტიის ლეო ფილფანის სახელობის თეატრში შედგა. ა(ა)იპ-ის ორგანიზებით ჩატარდა ვაჟა-ფშაველას ცხოვრების და შემოქმედების შესახებ საგანმანათლებლო საღამო „მთაში ნაბადი გენია“ გაიმართა, რომელსაც სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმმა უმასპინძლა.

მომხსენებელმა ისაუბრა ფინანსურ ხარჯებზე, პრობლემებზე, თხოვნით მიმართა საკრებულოს დეპუტატებს, ხელი შეუწყონ ბიბლიოთეკას სოფლებში ფართის გამოყოფაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: შ. გულედანმა- აღნიშნა რომ ლენჯერის თემში უკვე დასრულდა შენობა და მზადაა ბიბლიოთეკის განსათავსებლად.

ზ. ჩართოლანი--მიესალმა ა(ა)იპ-ის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს, აღნიშნა, რომ სვანეთს ბევრი დამსახურებული პოეტი და მოღვაწე ჰყავს, სასურველი იქნება წელიწადში ერთხელ მათთან შეხვედრა და პოეზიის საღამოს მოწყობა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ პროექტს.

მომხრე ----------20

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი პ მესტიის მთავარი ბიბლიოთეკის ანგარიში 2023 წელს შესრულებული საქმიანობის შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება №:გ-135. 135241527**თან ერთვის)**

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილული იქნა.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი